



CWN

კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი

**გენდერული
სტერეოტიპებისა
და ქალთა
დისკრიმინაციის
კვლევა
საქართველოში**

1999

CWN

კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი

**გენდერული
სტერეოტიპებისა და ქალთა
ფარული დისკრიმინაციის
კვლევა საქართველოში**

თბილისი

1999

ნიგნზე მუშაობდნენ:

ლუიზა არუთინოვი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
დალი ბერეკაშვილი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
თამრიკო ბერეკაშვილი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
ნანა ბერეკაშვილი, ფსიქოლოგი;
ნინო ციხისთავი, ბიოლოგი.

კვლევის შედეგების დამუშავებაში მონაწილეობდნენ:

პაპუნა ბარათაშვილი;
სოფიკო ბუტიკაშვილი;
თეა კაჭარავა.

რედაქტორი:

დეა ლაღუა

ყდის დიზაინი:

ნინო კაჭარავა

კვლევა და ნიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის
შეერთებული შტატების ფონდის — „Global Fund for Women“-ის
ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევა — „გენდერული სტერეოტიპებისა და ქალთა ფარული დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში“, ჩატარდა 1999 წელს „კავკასიის ქალთა ქსელის“ (The Caucasus Women's Research and Consulting Network-CWN) პროექტის ფარგლებში.

კავკასიის ქალთა ქსელი შეიქმნა და მუშაობს ქოლგა ორგანიზაციის „კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ (The International Center on Conflict and Negotiation - ICCN) ბაზაზე.

კვლევა წარმოადგენს პირველ ცდას საქართველოში, ქალთა უფლებები და მათი დარღვევა აღწეროს არა სამართლებრივი, არამედ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მახასიათებლების ტერმინებში; გამოავლინოს ქალთა დისკრიმინაციის ფარული კავშირი ადამიანთა ქცევის, შეხედულებების და ღირებულებების სფეროებთან.

კვლევამ გამოავლინა საქართველოს მოქალაქეთა დღევანდელი დღის რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. აღსანიშნავია, რომ პრობლემატიკის აქტუალობა და სიმძაფრე რესპონდენტებთან უშუალო კონტაქტშიც ნათლად გამოჩნდა. ინტერვიურებთან ურთიერთობის პროცესში რესპონდენტი ქალები ჰყვებოდნენ თავისი ცხოვრებიდან კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც მათ მიმართ უსამართლო და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა, და ახლა, იმედის თვალით შეჰყურებდნენ თვით კითხვარის შევსებას, პრობლემის ამგვარად დასმას და იმ უბრალო ფაქტს, რომ ვიღაცა დაინტერესდა, მათ პერსონალურ გამოცდილებას მისცეს მეცნიერული კვლევის სახე. „გვეშველება რამე?!“ — გვეკითხებოდნენ ქალები...

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში ქალთა პრობლემატიკა უდავოდ მტკივნეულია და აუცილებლად საჭიროებს ახალ მრავალ ასპექტიან კვლევებს, რათა მათ საფუძველზე გაკეთდეს სპეციალური რეკომენდაციები მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ყველა დაინტერესებულ ინსტანციისთვის.

ვიმედოვნებთ, ახალი მონაცემები ამ სფეროში მოქალაქეებს დაეხმარება, გააცნობიერონ პრობლემები და საკუთარი დამოკიდებულება მათ მიმართ და, ამგვარად, გადაიდგმება პირველი ნაბიჯი მათი გადაჭრისკენ.